

პარტნიორის პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა კორპორაციის
დელიქტური ვალდებულებისათვის შედარებითსამართლებრივი
ანალიზი საქართველოს და აშშ-ს მაგალითზე

სალომე ქომეთიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნონა ზუბიტაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ქომეთიანი

2018 წელი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში მზარდი ეკონომიკის პირობებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის დოქტრინას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი საშუალებას აძლევს ინვესტორებს წამოიწყონ საქმიანობა, დააბანდონ მათი ინვესტიციები სხვადასხვა სახის ბიზნესში, და დაზღვეულები იყვნენ, რომ მათი პასუხისმგებლობა შემოფარგლული იქნება მხოლოდ კორპორაციის ქონებით. თუმცა, შეზღუდული პასუხისმგებლობის დოქტრინის პარალელურად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გარკვეული გარემოებები, რომლის დროსაც გამართლებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფა და კორპორაციის პარტნიორებისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება. ამ სამართლებრივ მექანიზმს ქართულ საკორპორაციო სამართალში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, იგივე კორპორაციული საფარველის გაჭოლვა ეწოდება.

ასეთ შემთხვევას განეკუთვნება კორპორაციული დელიქტი, მაგ: გარემოს დაბინძურება, ავტოსატრანსპორტო ინციდენტები და ა.შ., რომლის დროსაც კორპორაცია, პარტნიორების არამართლზომიერი ქმედებების გამო, ვერ უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას საკუთარი ქონებით. საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც დელიქტისმიერ კრედიტორს, განსხვავებით სახელშეკრულებო კრედიტორისგან, თავად არ აურჩევია კორპორაცია, რომელის მიმართაც წარმოეშვა მოთხოვნა და არც კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის წინასწირი შეფასების შესაძლებლობა ჰქონია. შესაბამისად, დელიქტისმიერი კრედიტორს ყველაზე მეტად სჭირდება დაცვის სამართლებრივი გარანტია, ისეთ მოცემულობაში, როდესაც კორპორაციას არ აქვს ფინანსური რესურსი ზიანის ასანაზღაურებლად. მსგავს შემთხვევებში დელიქტისმიერი კრედიტორის დაცვის საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ისიც, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გამჭოლი პასუხისმგებლობის ერთეული პრეცედენტები არსებობს და შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული საკითხი არ არის სრულად დამუშავებული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციული განცალკევებულობის უგულებელყოფა და პარტნიორების პირადი პასუხისმგებლობა კორპორაციული დელიქტის დროს ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული დაზარალებული კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდება თუ არა და ზოგადად, მოხდება თუ არა მსგავს კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სამართლიანი ბალანსის დაცვა. როგორც უკვე ვთქვით, ქართული სასამართლო პრაქტიკა მოცემულ საკითხზე ძალიან მწირია, რასაც კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ გვიჩვენებს აშშ-ს სასამართლო პრაქტიკასთან მისი შედარება. ამდენად, მიზანშეწოლიანილია, დელიქტისმიერი კრედიტორის დაცვის სამართლებრივი მექანიზმის საკითხის შესწავლა გაგრძელდეს, როგორც აკადემიურ წრეებში, ასევე პრაქტიკაში.

Abstract

In modern world, taking into account rapidly growing economic, the Doctrine of Limited Liability has a huge importance, because it gives opportunity to investors to start and put their money into businesses and have guarantee that their liability will only be limited to assets, which belongs to corporations. However, simultaneously to the Doctrine of Limited Liability, some circumstances need to be taken into account, when disregarding Limited Liability and imposing personal liability to partners, is justified. This legal mechanism is known as the Doctrine of Piercing the Corporate Veil.

Above mentioned case can be corporate tort, for example: environmental pollution, transport accidents and etc., when corporation is unable to fulfill creditors' claims with its assets, due to some wrong actions of its partners. Huge importance is given to this matter, because on the other side we have injured creditors, who unlike the contract creditors, did not choose corporation to whom claim arose and did not have opportunity to evaluate its financial conditions *ex ante*. Accordingly, corporate creditors need more than anyone else, legal guarantee of protection in a situation, when corporation does not have sufficient fund for compensating damage. Above mentioned is important as well, because in Georgian court practice we have a single precedents and it can be said that mentioned matter is not processed completely.

As a conclusion, we can say that, disregarding corporate separateness and partner's personal liability has a huge importance in the event of corporate tort, because whether creditors claim will be fulfilled or not and in general protection of fair balance depend on it. As we mentioned before, Georgia has a very little court practice about given matter, which will be shown more clearly, in contrast with USA court practice. It would be reasonable, that scholars, as well as court to continue researching on legal mechanism for protection of tort creditors.